

დროულად გავიხსნოთ სოფლად მინის კონსოლიდაციის მნიშვნელობა

ალექსანდრე სიჭინავა, სტუ-ს სრული პროფესორი
პაატა კოლუაშვილი, სტუ-ს სრული პროფესორი
გიორგი ზიბზიბაძე, სტუ-ს მონვეული პროფესორი
ანზორ მესხიშვილი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

საქართველოში ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმას სოფლის მეურნეობის სავარგულების დაქუცმაცება და დაწვრილერეთეულებული (პარცერალური) ნატურალური და ნახევრად ნატურალური საოჯახო მეურნეობების შექმნა მოჰყვა. რეფორმამ მოქალაქეებს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი სოფლის მეურნეობაში, უფლება მისცა კომლზე 1,25 ჰა მიწა მიეღოთ (მთაში 3-დან 5 ჰა-მდე), ხოლო, სასოფლო ტერიტორიებზე მცხოვრებ მაგრამ სოფლის მეურნეობაში არადასაქმებულ პირებს (განათლების, კულტურის, საზოგადოებრივ სამედიცინო სფეროში მოღვაწენი) 0.75 ჰა. ურბანული ტერიტორიის მკვიდრ მოქალაქეებს 0,25 ჰა, თბილისის საგარეუბნო ზონაში 0.15 ჰა-მდე. პრივატიზებული მიწის უმეტესობა დასახლებული ადგილების მიმდებარედ და საქართველოს მეტად მნიშვნელოვან აგრო-ეკოლოგიურ ზონებში მდებარეობს.

ამ მასობრივი ტრანსფორმაციის პროცესის შედეგად 1 300 000 კომლი (ოჯახი) — მცირე მიწის ნაკვეთების მესაკუთრე გახდა.

საქართველოში პრივატიზებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტაცია — ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი ფერმერული მეურნეობისთვის დღეს ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს, რადგან მათი განვითარების პოტენციალი ფრიალ ღიმიტრებულია. ისინი მიწას არ აღიქვამენ, როგორც ეკონომიკურ აქტივს. ფაქტობრივად, ფერმერთა უმრავლესობა მიწაზე მეურნეობრიობაში გრძელვადიან პერსპექტივას ვერ ხედავს და ამდენად ნაკლები ინტერესი აქვთ მიწის კონსოლიდაციასთან დაკავშირებით.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპი, როგორც ცნობილია დროებითი მთავრობის აქტით, პოლიტიკური და ეკონომიკურ კრიზისის, სამოქალაქო ომისა და რთული კრიმინალური ვითარების პირობებში განხორციელდა. მხოლოდ 1996 წლის მარტში დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომელმაც მიწის პრივატიზაციის შესახებ მიღებული ყველა უწინდელი აქტი დააკანონა. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ კანონის მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის გაუმჯობესება, მიწის რაციონალური გამოყენება, მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციისა და არაეფექტური გამოყენების აღკვეთა.

ამ მიზნით გარკვეული ღონისძიებებიც განხორციელდა, კერძოდ 2004 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში დარჩე-

ნილი სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაციის შესახებ“. ამ კანონის მიზანი იყო არ გაზრდილიყო მიწების ფრაგმენტაცია, რომელსაც პრივატიზაციის პირველ ფაზაში ჰქონდა ადგილი. კანონში აღნიშნულია, რომ პრივატიზებული ნაკვეთის მინიმალური ფართობი 3 ჰექტარზე ნაკლები არ უნდა იყოს. მიუხედავად ამისა სავარგულების დანაწევრება ვერ იქნა თავიდან აცილებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს, რომ გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: საქართველოში დადგა ის პერიოდი, როცა აუცილებელია დავინყოთ მუშაობა მიწის კონსოლიდაციის საკითხზე.

დღეისათვის, საქართველოში არც იურიდიული და არც ინსტიტუციური ხასიათის სათანადო სტრუქტურა არ არსებობს, რომელიც მიმართული იქნებოდა მიწის კონსოლიდაციის თუ სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარებისკენ. მიგვაჩნია, რომ მიწის კონსოლიდაციის, სამთავრობო დადგენილების მომზადება აუცილებელი წინაპირობა იქნება მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად. სხვაგვარად, კონსოლიდაციისა და მიწის გამოყოფის პროცესი გაცილებით რთული და ხარჯიანი იქნება.

სასოფლო დასახლებების გაბნეული განლაგება მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მიწის კონსოლიდაციისთვის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტაციის პრობლემა, არამედ განსახლების სტრუქტურის პრობლემაც დგას (დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონის სანაპიროს გასწვრივ, ძირითადი დასახლებების ტერიტორიებზე, სოფლის ცენტრები მხოლოდ აქა-იქ არსებობს).

მიწის ბაზარი ჯერ კიდევ ძალზე სუსტია, განსაკუთრებით სასოფლო ტერიტორიებზე. რეგისტრირებული მეორადი ტრანზაქცია პრაქტიკულად იშვიათობას წარმოადგენს. მიწის შეფასება ხორციელდება ძველი საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით, რომელიც ადგილმდებარეობას, ხელმისაწვდომობას, მისადგომობას ეფუძნება და არა უფრო რეალური პარამეტრების კომბინაციას, როგორიცაა ნიადაგის ხარისხი და მიწის გამოყენების სათანადობა. მიწის შეფასების სათანადო მექანიზმის არ არსებობა აფერხებს მიწის ბაზრის განვითარებას, განსაკუთრებით — მიწის გაყიდვასთან მიმართებაში. საერთოდ, მიწის ფასი სასოფლო ტერიტორიებზე დაბალია (ვენახებისა და ხეხილის გამოკლებით), ნიადაგის განოყიერების, ეროზიის სანიწალმდეგო და სხვა ღონისძიებების

ჩაუტარებლობის გამო.

მიგვაჩნია, რომ მიწის კონსოლიდაციის ძალისხმევის ხელშეწყობას შეუძლია საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გარკვეული გამოსწორება. გასათვალისწინებელია, რომ ბევრი მიწის მესაკუთრე საპენსიო ასაკშია და მიწის ტრანზაქციები ძირითადად მოიცავს მემკვიდრეობით გადაცემას ან ჩუქებას, რაც უახლოეს მომავალში გაზრდის მათ როლს. აგრეთვე, შესაძლებელია, ხელმისაწვდომი გახდეს გაცილებით მეტი მიწა, ვინაიდან დიდი რაოდენობა გლეხებისა, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში წარუმატებელნი იყვნენ ფერმერულ მეურნეობაში, შესაძლოა მიწაზე საქმიანობა მიატოვონ, ისევე, როგორც მიწის მესაკუთრეებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არ არიან მიწით, რადგან სხვა საქმიანობით არიან დაკავებული.

საქართველოს მთავრობას, დღემდე, სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსოლიდაციის არანაირი საქმიანობა არ განუხორციელებია და არც რაიმე განსაზღვრული სტრატეგია გააჩნია. ფაქტობრივად არ შემუშავებულა ქვეყანის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების პრინციპები და არ განსაზღვრულა სოფლის (სოცოუმის) განვითარების სტრატეგია. მიწის პარცელაციასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების თაობაზე მართალია ადგილი აქვს პოლიტიკურ ინფორმირებულობას, მაგრამ, ჯერჯერობით, რაიმე განსაზღვრული, მით უფრო დეტალური სტრატეგია არ არსებობს. გარკვეული რაოდენობის ფერმერებს აქვთ მიწის კონსოლიდირების მცდელობა ნებაყოფლობით სანყისებზე, მაგრამ ამას აფერხებს სანოტარო და სარეგისტრაციო მოსაკრებლები და გადასახადები.

ტენიან დასავლეთ საქართველოსა და უფრო მშრალი კლიმატის მქონე აღმოსავლეთ საქართველოს შორის მკაფიო განსხვავება არსებობს. ამასთან, საქართველოს უმეტესი ნაწილი შედგება მაღალი სიმაღლის მქონე მთიანი ფართობებისგან, რაც ასევე აისახება სოფლის მეურნეობისა და დასახლებების სტრუქტურაზე.

საბჭოთა პერიოდში სოფლის განვითარება შესაბამისი სამსახურებით იყო კოორდინირებული. დღეს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და სასოფლო განვითარების პასუხისმგებლობა, მართალია, გადანაწილებულია სხვადასხვა სამინისტროებზე, მაგრამ ფაქტობრივად არ შემუშავებულა სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების პროექტი და არ განსაზღვრულა სოფლის განვითარების სტრატეგია. ამდენად, საჭიროა ინტეგრირებული სივრცითი-ტერიტორიული განვითარების გეგმების შემუშავება, ხოლო მიწის კონსოლიდაციის სტრატეგია უნდა წარმოადგენდეს სივრცით-ტერიტორიულ და რეგიონული განვითარების გეგმის შემადგენელ ნაწილს.

კერძო პირებს, რომლებიც დასახლებული არიან მიწის კონსოლიდაციის ფართობზე ან მის მახლობლად, შეუძლიათ გარკვეული სარგებელი მიიღონ სასოფლო განვითარების შედეგად და განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდეთ მიწის კონსოლიდაციის

ლონისძიებებში. მიწის მესაკუთრეები და ფერმერები განსაკუთრებულ დაინტერესებას გამოხატავენ მოსაკრებლების გადასახადის გარეშე მიწის ტრანზაქციებთან დაკავშირებით და შესაძლებელია ფერმერების სტიმულირება, მათი მეურნეობისა და მიწის ნაკვეთების გასაუმჯობესებლად. ნაკვეთების კონსოლიდაცია, ახალი გზების მშენებლობა და მისადგომი გზების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რენტაბელურ მეურნეობას სამუშაო დროის დაზოგვაში.

პოლიტიკოსები ძირითადად აცნობიერებენ სოფლად არსებულ ყველა პრობლემას, თუმცა არ არსებობს რაიმე პოლიტიკური პროგრამა ან სტრატეგია სიტუაციის გასაუმჯობესებლად. სასოფლო ტერიტორიები ნაკლებად განვითარებულია და ბევრად უარეს მდგომარეობაშია საქალაქო ტერიტორიებთან შედარებით. შესაბამისად, სამუშაოს პოვნისა და უკეთესი საცხოვრებელი პირობების მოძიების იმედით მოსახლეობა ტოვებს სოფელს და გადადის ქალაქში. მართალია, მიზანი თანაბრად კარგი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, წარსულში არ არსებობდა, მაგრამ დღეს უკვე მომწიფდა დრო აქტიური სასოფლო განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის.

სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარების გარეშე (გზა, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვ.) ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი.¹

1. სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად, საქართველოს მთავრობამ, მსგავსად დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებისა, რამდენიმე დებულებით უნდა იხელმძღვანელოს:

- სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმმართველობა, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა), განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, ეროვნული იდენტურობისა და მოსახლეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს;
- გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;
- ინფორმაციის (მ.შ. ტელეკომუნიკაციის) გავრცელებისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობა სოფლის, ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა;
- სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ჩამოთვლილი დებულებები სრულად პასუხობენ „ლისაბონის სტრატეგიის“ და „ევროპა-2020-ს“ 5 მოთხოვნას ეკონომიკური „ზრდისა და მეტი, უკეთესი, სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ“.

სიტუაციური ანალიზი აჩვენებს, რომ დღეისათვის საქართველოში სასოფლო განვითარებას აფერხებს რიგი ინტეგრირებული პრობლემები. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პარცელაცია, ზოგად ფრაგმენტირებული დასახლების სტრუქტურასთან ერთად, უპირობოდ სერიოზული პრობლემაა, განსაკუთრებით კომერციული მეურნეობისთვის. ამასთან, არსებობს რიგი სხვა პრობლემები და პირობები, რომლებიც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ასეთ ფონზე აუცილებელია გადაიჭრას საკითხი, თუ მიწის კონსოლიდაციის რომელი მიღებული პროცედურა შეუწყობს ხელს საქართველოს ფერმერების წინაშე არსებული მრავალი პრობლემის გადაჭრას. მძიმე ზოგადი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, მიწის კონსოლიდაცია ვერ შეცვლის მთლიან სურათს, თუმცა ხელს შეუწყობს:

სასოფლო დასახლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას;

პრივატიზებულ მიწაზე არსებული ფრაგმენტაციის შემცირებას;

პრივატიზაციისა და მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევაში შემდგომი ფრაგმენტაციის თავიდან აცილებას.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის კონსოლიდაციის მიერ შეტანილი წვლილი საწყის ეტაპზე შესაძლოა არაერთხელ იმეორებოდეს, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ტერიტორიებზე და მის მახლობლად არსებული სტრუქტურა და მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდება და განვითარების შედეგები ნათელი გახდება გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან, საქართველოში, როგორც ცნობილია, არსებობს დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც განხილული უნდა იქნეს სასოფლო განვითარების სტრატეგიასთან ურთიერთკავშირში. მიწის მესაკუთრეთა უმეტესობა მოხუცებულია და ვერ მიიღებს მომავალში მონაწილეობას აქტიურ შრომაში. გარდა ამისა, არსებობს სოფლიდან ქალაქში მიგრაცია, რომელიც თავის მხრივ ამცირებს სასოფლო მოსახლეობის რიცხოვნობას.

ამდენად, ჩვენი აზრით, მიწის კონსოლიდაცია უნდა ჩაითვალოს სოფლის განვითარების საშუალებად, რომელიც ჩართული უნდა იქნეს სივრცით-ტერიტორიული განვითარების/დაგეგმარების ერთიან სტრატეგიაში. დღეს მიწის გამოყენების და რეგიონული დაგეგმარების სისტემა საქართველოში არ არსებობს. სუსტად ჩამოყალიბებული და სხვადასხვა სამინისტროებს შორის დუბლირებული ამოცანები არ არის შესაბამისად კოორდინირებული. ამასთან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისთვის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს დაფინანსებას. საბჭოთა დროინდელი პერიოდის გენერალური გეგმები არ განახლებულა, რაც ხელს უშლის სასოფლო განვითარების პოლიტიკის, სტრატეგიის, პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს სასოფლო ცხოვრების გაუმჯობესებას.

საქართველოს სასოფლო დასახლებებში ცხოვრების ზოგადი პირობები მკვეთრად განსხვავებულია. განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ტენიან დასავლეთ საქართველოსა და შედარებით უფრო მშრალი კლიმატის მქონე აღმოსავლეთ საქართველოს მხარეებს შორის, რაც ბუნებრივად აისახება სასოფლო-სამეურნეო წარმოების და დასახლების სტრუქტურაში. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ხასიათდება მიწის ფართობების გაბნეული განლაგებით, მიმოფანტული საცხოვრებელი სახლებითა და მეურნეობებით. ასეთ ტერიტორიებზე მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებების გატარება ნაკვეთების ხელახალი განაწილების თვალსაზრისით, მართალია, რთული იქნება, მაგრამ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სასოფლო ცენტრების შექმნა მომავალში ხელს შეუწყობს მოსახლეობის კონცენტრირებას და თავიდან აგვაცილებს სასოფლო დასახლებების განლაგების შემდგომ გაფანტულობას.

მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოში სიტუაცია შესაძლოა უფრო ხელშემწყობი იყოს ნაკვეთების ხელახალი განაწილებისათვის განსხვავებული სასოფლო სტრუქტურის გამო.

საქართველოში მიწის კონსოლიდაციისთვის ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი და უარყოფითი წინაპირობების შეფასებისას შესაძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ მიწის კონსოლიდაცია სასოფლო ტერიტორიებზე ხელს შეუწყობს მდგომარეობის გამოსწორებას, რადგან ის ასტიმულირებს სექტორ-თაშორისი სტრუქტურის ჩამოყალიბებას სოფლის საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

ამრიგად, მიწის კონსოლიდაცია უნდა მივიჩნიოთ გრძელვადიანი დაგეგმარების ინსტრუმენტად. მიუხედავად იმისა, რომ მიწის კონსოლიდაციის საჭიროება საკმაოდ დასაბუთებულია, არ უნდა ვეცადოთ მთელი ქვეყნისთვის მიწის კონსოლიდაციის ფიქსირებული პროცენტურების შექმნას. ეს არც მიზანშეწონილია და არც დღევანდელი შესაბამისი. სავალდებულო კონსოლიდაციის სქემა, ვერ იქნება მისაღები, ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი ბოლომდე არ ენდობა მთავრობის მიერ განხორციელებულ საქმიანობას. ამგვარად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ეტაპობრივი მიდგომა, სადაც ყურადღება განსაკუთრებულად გამახვილდება საზოგადოებასა და მოქალაქეთა მონაწილეობაზე. პირველ რიგში უნდა გადაიჭრას რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებიც მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ესენია:

— მიწის კონსოლიდაციის მნიშვნელობა ერთნაირად გააზრებული და გაცნობიერებული უნდა იქნეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ. საჭიროა ბევრად მაღალი დონის საჯარო ინფორმირება, განსაკუთრებით პოლიტიკოსებისთვის;

— მიწის კონსოლიდაციის ყველა სქემა ჩართული უნდა იქნეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების პროექტში. ამჟამად ასეთი დაგეგმარება არ ხორ-

ციელდება და პასუხისმგებლობები ბუნდოვნად არის გადანაწილებული სამინისტროებს შორის;

—სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების პრაქტიკული განხორციელებისთვის საჭიროა სტარტეგიის შემუშავება, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი სამსახური, (რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი სამთავრობო სააგენტოების წევრებით და სპეციალისტებით, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიდანაც).

—ადგილობრივი საკრებულოს დონეზე სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარება უნდა წარმოადგენდეს მიწის კონსოლიდაციის პროცედურის განუყოფელ ნაწილს. ის უნდა უზრუნველყოფდეს საფუძველს გადანაწილების მისაღებად იმ ტიპის ჩარევებისთვის, რომელიც გადაუდებლად აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების, სასოფლო ეკონომიკისა და ლოკალური ეკონომიკური ბრუნვის გასაუმჯობესებლად.

საყურადღებოა, რომ ნებისმიერი მიწის კონსოლიდაცია მოითხოვს საკუთრების უფლებებში გარდაუვალ ჩარევას. ამიტომ საჭიროა მკაცრად ჩამოყალიბებული სამართლებრივი რეგულაციები საკუთრების უფლების სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად. მიწის თითოეულ მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს უფლება შეამოწმოს რეგულაციების ზემოქმედება თავის საკუთრებასთან მიმართებაში. ამ მიზნით თანაბარი ღირებულების საკუთრების გაცვლის, ხარჯების კომპენსაციისა და კონტრიბუციის პრინციპები ნათლად უნდა იქნას ჩამოყალიბებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა დროულად უნდა მიიღოს კანონი მიწის კონსოლიდაციის შესახებ, რომლითაც უნდა განისაზღვროს:

—მიწის კონსოლიდაციის მიზანი და ამოცანები; პასუხისმგებელი უწყებები მიწის კონსოლიდაციის პროცესზე და ამ მიმართულებით ჩატარებული პროცედურების შემოწმებაზე;

—კანონში ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს მიწის კონსოლიდაციისათვის საჭირო ყველა პროცედურა, მათ შორის თვითმმართველობების და ინდივიდუალური მონაწილეების ამოცანები და ვალდებულებები;

—კანონში უნდა აისახოს ნორმა, რომლის მიხედვით თუ საერთო ფართობზე მიწის მესაკუთრეების ორ მესამედზე მეტი ეთანხმება მიწის კონსოლიდაციის საკითხს. მათ ჰქონდეთ უფლება მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში;

—მიწის კონსოლიდაციის აქტი უნდა მოიცავდეს მიწის შეფასების კრიტერიუმებს და პრინციპებს. აქედან გამომდინარე, შეფასების მიმართ უთანხმოების შემთხვევაში კანონით განსაზღვრული უნდა იყოს სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადები და მასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი პროცედურები.

დასკვნის მაგიერ. საქართველოს პარლამენტის მიერ ზემოაღნიშნული კანონის მიღება ხელს შეუწყობს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის “მკვდარი წერტილიდან” დაძვრას და ქვეყანაში მიწის კონსოლიდაციის ეტაპობრივ განხორციელებას.